ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/ე-1731-24
"01" 10. 2024 წ.

დადგენილება №002559
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

01.10.2024წ. **ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზაზა კვიციანმა, განვიხილე, 2024 წლის პირველი ოქტომბრის №002559 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი"-ს** (ს/კ №406130618; მის.: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, III მასივი, VIII კვ. ორპუსი 15, ბინა 40) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10გ, №01.10.06.006.347 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი"-ს მიერ, განხორციელებულ იქნა IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 აგვისტოს №6631632 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შეცვლილია საპროექტო ნიშნულის დონე და ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორის კეთილმოწყობა. "1-9" ფასადი: -2.80 ნიშნული გაუქმებულია ლითონის მოაჯირის და კაპიტალური კედლის მოწყობა. "9-1" ფასადი: +.0.00 ნიშნული დამატებით მოწყობილია ლითონის ჟალუზები."2-4" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია კაპიტალური ღობე ლითონის მოაჯირით. +0.00 ნიშნული: "2-3" და"6-7" ღერძებში დამატებით მოწყობილია მონოლითის კედლები "დ-ბ" და "9" ღერძზე დამატებით მოწყობლია ბლოკის კედელი და შეცვლილია ღიობის გაბარიტი. კიბის უჯრედში მოაჯირი სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირთატვის გათვილისწინებულ ნორმებზე 28,45 ნიშნული დამატებით მოწყობილია დაწნევის აგრეგატები შემცირებულია ლიფტის კაბინის გაბარიტები. დასახაზია შშმ პირთათვის განკუთვნილი პარკინგის ადგლები. სრულად არ არის მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოებით გათვალისწინებული აგრეგატები. საკომუნიკაციო შახტები და დაწნევის სისტემა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. "ა" ღერძს გარეთ "3-6" მონაკვეთში მცირედით შეცვლილია აივნების სიგრძე. კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

2024 წლის პირველ ოქტომბერს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002559 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის მიერ 2024 წლის 13 აგვისტოს წარმოდგენილი №10/01241841466-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი”-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ: ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10გ, №01.10.06.006.347 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი”-ს მიერ, განხორციელებულ იქნა IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 აგვისტოს №6631632 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შეცვლილია საპროექტო ნიშნულის დონე და ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორის კეთილმოწყობა. “1-9” ფასადი: -2.80 ნიშნული გაუქმებულია ლითონის მოაჯირის და კაპიტალური კედლის მოწყობა. “9-1” ფასადი: +.0.00 ნიშნული დამატებით მოწყობილია ლითონის ჟალუზები.”2-4” მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია კაპიტალური ღობე ლითონის მოაჯირით. +0.00 ნიშნული: “2-3” და”6-7” ღერძებში დამატებით მოწყობილია მონოლითის კედლები “დ-ბ” და “9” ღერძზე დამატებით მოწყობლია ბლოკის კედელი და შეცვლილია ღიობის გაბარიტი. კიბის უჯრედში მოაჯირი სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირთატვის გათვილისწინებულ ნორმებზე 28,45 ნიშნული დამატებით მოწყობილია დაწნევის აგრეგატები შემცირებულია ლიფტის კაბინის გაბარიტები. დასახახია შშმ პირთათვის განკუთვნილი პარკინგის ადგლები. სრულად არ არის მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოებით გათვალისწინებული აგრეგატები. საკომუნიკაციო შახტები და დაწნევის სისტემა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. “ა” ღერძს გარეთ “3-6” მონაკვეთში მცირედით შეცვლილია აივნების სიგრძე. კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი” დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10გ, №01.10.06.006.347 საკადასტრო კოდზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 აგვისტოს №6631632 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „ბი-ემ-სი გეზი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ზაზა კვიციანი**

სს საქართველოს ბანკი
წარდგენის თარიღი: 02.10.2024
მიღების თარიღი: 02.10.2024

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საგადახდო დავალება 23994563562

გადამხდელი	შპს ბი-ემ-სი გეზი
გადამხდელის ანგარიში	GE72BG0000000527974491GEL
გადამხდელის ბანკი	სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
მიმღები	ქ. თბილისი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი	300773263
მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
გადასახადის გადამხდელი	შპს ბი-ემ-სი გეზი
საიდენტიფიკაციო/პირადი N	406130618
დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო. დადგენილება N002559 სამშენებლო სამართლდარღვევის საქმეზე. 4-1/დ-1731-24. 01.10.2024
დამატებითი ინფორმაცია	
თანხა	**15,000.00 GEL** თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
საკომისიოს ანგარიში	GE72BG0000000527974491GEL
საკომისიო	20.00 GEL ოცი ლარი 00 თეთრი

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება მომდევნო სამუშაო დღეს განხორციელდება.

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 329 BAGAGE22

კლიენტი _____ ბანკი _____

-კონფიდენციალური-
-Confidential-